სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №22

16 მაისი 2016 წ.

დ. ხარაგაული

ერთის მხრივ აიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ ჩხერიმელა 2009“ ,(შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ გიორგიძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „ რომანი შერგელაშვილი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი რომანი შერგელაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. აიპ საფეხბურთო კლუბი „ ჩხერიმელა 2009“–ისათვის ელექტრო ჩამრთველ ამომრთველის შესყიდვა. CPV31200000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;

4.2„მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
სასაქონლო ზედდებული ან ანგარიშფაქტურა.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

6. *საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა*

6.1. საქონლის მიწოდება მოხდება მისამართზე. დ. ხარაგაული. სოლომონ მეფის ქN54. აიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ ჩხერიმელა 2009"–ის შენობა

6.2. საქონლის მიწოდება უნდა დასრულდეს 2016 წლის 20 მაისის ჩათვლით.

7. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2.

გ) უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით.

8. *პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის*

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა; ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გამოიყენება საჯარიმო სანქციები. ყოველ დაგვიანებული (ვადაგადაცილებული) დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის (ჯამური ღირებულების) 0.1% პროცენტის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან და დაგვიანებით შესრულების პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის (ჯამური ღირებულების) 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის (ჯამური ღირებულების) 30% პროცენტის ოდენობით;

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მიმწოდებელს დაუკავოს მასზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის 20%-ის გაზრდით შესაბამისი თანხა და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ.

8.5 საჯარიმო სანქციების გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. *ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი: _____ მიმწოდებელი: _____

. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთებიშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 01 ივლისის ჩათვლით .

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

აიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საფეხბურთო კლუბი
„ ჩხერიმელა 2009 „-ის დირექტორი
ზურაბ გიორგიძე

სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ნ № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 243574333
მის. დ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქN54

მიმწოდებელი:

ი.მ. რომანი შერგელაშვილი

ს.ს „საქართველოს ბანკის :-ს
ცენტრალური ფილიალი
კოდი: BAGAGE22
ა/ნ № GE07BG0000000151598201
ს/კოდი: 18001010653
მის. ქ. ზესტაფონი,ჭანტურიას ქ§91